„ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2023 წელი ● №15-16 (9557-58) ● 1-31 აგვისტო ● ფასი 1 ლარი და 40 თეთრი

28 აგვისტო მარიამობაა - გილოცავთ!

სავალალო რეალობა

ნომრის მთავარი თემაა შოვი, სადაც 3 აგვისტოს მეწყერი ჩამოწვა. მეწყერმა მიწის ქვეშ მოიქცია ყველაფერი, რაც წინ დახვდა ადამიან-სახლებიან-ადგილებიანად. ერთ წამში სტიქიური უბედურების ზონად გადაიქცა წალკოტის დარი კურორტი. მომსწრენი გავხდით ჯერ არნახული ტრაგედიის, ტალახიანმა მიწამ წკვარამში ჩაიყოლა ადამიანები. თვალსა და ხელს შუა გაქრნენ ოჯახები... თავისი სიმძიმიდან გამომდინარე აღნიშნული ისეთი შემთხვევაა, როცა სიტყვები უფერულდება, როცა სამძიმრის, თანაგრძნობის, სულის ტკივილის... გადმოცემა შეუძლებელია, როცა ამ

ტიალ ქვეყანაზე დასატევ ადგილს ვერ პოულობ, როცა დუმილი გოლგოთაა, რისხვაა, ყელს მომდგარი გორგალია, რომელიც არაცნობიერი საცეცებით იმედს ეპოტინება, ეჭიდება, მართალია გულისგულმა ყველაფერი იცის, ყველაფერს ხვდება, მაგრამ ეს ისეთი მომენტია, როცა დაუჯერებელი გინდა იწამო, როცა სასწაულს ელოდები, როცა მომხდარის დაშვება არ გინდა და იქნებ-ს ამოფარებულმა ეს ამბავი ცუდი სიზმარივით წყალს გინდა გაატანო, მაგრამ სახეზე სავალალო რეალობა გვაქვს, ამიტომ ამ თემით სპეკულაცია ამორალურია, მხოლოდ და მხოლოდ დარგის სპეციალისტებმა უნდა გასცენ კომპეტენტური პასუხები დაგროვილ კითხვებს.

უფალო განუსვენე სასუფეველსა შინა დაღუპულთა სულებს, ახლობლებს კი სიმშვიდე მოჰგვარე და შენს მფარველობას ნუ მოაკლებ ჩვენს პატარა სამშობლოს.

21 აგვისტოს მონაცემებით სტიქიის ზონაში ნაპოვნია 28 ცხედარი.

ბაჩანა სართანია

სიახლეები

რედაქცია ულოცავს წარმატებებს მუნიციპალიტეტის იმ აბიტურიენტებს, რომლებმაც მისაღები ეროვნული გამოცდები ჩააბარეს და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები გახდნენ.

იყავით რჩეულთა შორის რჩეული თქვენი განათლებით, პასუხისმგებლობით, პროფესიონალიზმით, ღირსებით...

უმნიშვნელოვანესი მიღწევა



გვახარებს და გულს იმედით გვივსებს ჩვენი პატარა სამშობლოს თითოეული მოქალაქის მიღწევა, მაგრამ როცა ჯერი ჩვენს თანაქალაქელზე მიდგება, მით უფრო „კოლხეთელთა“ დიდი ოჯახის შთამომავალზე, მაშინ ემოციების მოთოკვა ძნელია. ეს პიროვნება გახლავთ ქალბატონი **ლელა გოგინავა**, რომელსაც დამთავრებული აქვს სენაკის მეორე საშუალო სკოლა, შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, პარალელურად სწავლობდა უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის სპეციალობით. შემდეგ დაამთავრა ასპირანტურა სოციოლოგიის განხრით. 1999-2000 წლებში მოიპოვა მაგისტრის ხარისხი მშვიდობისა და განვითარებაში ევროპის უნივერსიტეტსა (ავსტრიის) და ხამუ პირველ უნივერსიტეტში (კასტელონი, ესპანეთი).

წლების მანძილზე მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. 2007-2010 წლებში როტაციით იმყოფებოდა საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში უფროს მრჩევლად... ასეთია ქალბატონი ლეილას საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის არასრული ჩამონათვალი. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ლელა გოგინავა ახლახანს გახდა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მიმართულების განათლების მეცნიერებების ასისტენტ-პროფესორი.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ მას ამ სტატუსს და ვუსურვებთ კიდევ მრავალჯერ გაეხარებინოს თანაქალაქელების, მეგობრების, ახლობლების და დედის – უსათნოესი ქალბატონის, ნორა გადელიას გული თავისი მიღწევებით.

კოლხეთელები

თბილისში მაღალ დონეზე დასრულდა ლონდონის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა, ორგანიზატორთა, თანამდგომთა და თანამოაზრეთა დაჯილდოების ცერემონიალი, რომელიც 1, 2 და 3 აგვისტოს მოიცავდა. აღნიშნული ღონისძიების არეალი, შინაარსი, დატვირთვა მრავალფეროვანი გახლდათ. დაჯილდოების მონაწილეთა შთაბეჭდილებებს გაგაცნობთ შემდეგ ნომერში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2023 წლის 3 აგვისტოს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბადრი კალანდარიშვილი, თანამომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, იზა წურწუმია.

სხდომაზე დამწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულება დადებითად შეფასდა

* * *

2023 წლის 8 აგვისტოს, გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომა.

სხდომის დაწყებამდე, კომისიის წევრებმა, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს, კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად და აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

სხდომაზე დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხის განხილვა:

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცენარეთა მავნებლებისა და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული მუშაოების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ბადრი ხურცია.

სხდომაზე დამწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით I და II კვარტალში გაწეული მუშაობა დადებითად შეფასდა.

* * *

2023 წლის 11 აგვისტოს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო სამი საკითხის განხილვა.

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე(ჯორჯაძის ქ. №3.)

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, გიგა წურწუმია.

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების თაობაზე(აკაკი წერეთლის ქუჩა).

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიგა წურწუმია.

სენაკის მუნიციპალიტეტში, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მ/შ, ეკატერინე კიზირია.

* * *

2023 წლის 16 აგვისტოს გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომის დაწყებამდე, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს კურორტ შოვში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად და აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.

სხდომას კომისიის თავმჯდომარე ინგა ქარდავა უძღვებოდა.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული იყო ექვსი საკითხის განხილვა:

ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების" დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი ა.ი.პ. -,,სენაკი მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დირექტორი", ჯუმბერ ლაშქარავა.

ა.(ა)ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის" დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის" დირექტორი, ლევან ტყებუჩავა.

ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების" დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების" დირექტორი, ალექსანდრე ჯანჯღავა.

ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტერის" დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ,

მომხსენებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის" დირექტორი, ბადრი ქუთელია.

ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის" დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის" დირექტორი, ვეფხვია ვეფხვაძე,

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა 2023 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ნატალია ხუბუა.

კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყეტილებით, ა.(ა).ი.პ-ის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობა დადებითად შეაფასეს.

ალექსი დემურია,
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

სპორტი

ჩემთვის ახალი აღმოჩენა

ივლისის ბოლოს ქალაქ ბათუმში ჩატარდა შავი ზღვის თასის გათამაშება ძალისმიერ სამჭიდში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა საქართველოსა და რამდენიმე ქვეყნის 100-ზე მეტი სპორტსმენი. ბრწყინვალედ იასპარეზა სენაკელმა გიგი აბრამიძემ და 82,5 კგ. კატეგორიაში მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

გიგი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ,,კომპიუტერული ტექნოლოგიების" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტია.

გიგი გილოცავთ ჩემპიონის ტიტულს, ძალიან მოკლე დროში მიაღწიე სერიოზულ წარმატებას, როდის დაინტერესდი სპორტის ამ სახეობით?

მადლობა ყურადღებისთვის. დაახლოებით ერთი წელია, რაც დამოუკიდებლად ვარჯიში დავიწყე. სავარჯიშო დარბაზში შევხვდი მწვრთნელს, რომელმაც აღნიშნა, რომ ძალისმიერი სამჭიდის მონაცემები მქონდა, შემომთავაზა სამჭიდის მსოფლიო თასის გათამაშებაში მიმეღო მონაწილეობა, დავთანხმდი და 2023 წლის 5 მარტს მონაწილეობა მივიღე ორგანიზაცია IPSU-ს მიერ ორგანიზებულ, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონისა და განთქმული ძალოსნის ლევან გალდავას ხსოვნისადმი მიძღვნილ მსოფლიო თასის გათამაშებაში. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდა 8 ქვეყნის 200-ზე მეტი ძალოსანი. მე "ამოწევაში" 82.5 კგ წონით კატეგორიაში I ადგილის მფლობელი გავხდი.

ამის შემდეგ ჩვეულ რეჟიმში გავაგრძელე ვარჯიში. შემდეგ მონაწილეობა მივიღე საქართველოს ჩემპიონატში, რომელშიც მონაწილეობდნენ საუკეთესო ძალოსნები საქართველოს მასშტაბით. მე სამწუხაროდ წონის გადაჭარბება მქონდა და ჩემს წონასთან შედარებით მაღალ წონით კატეგორიაში (90კგ) მომიწია შეჯიბრი, მიუხედავად ამისა, დავიკავე მეორე ადგილი და გავხდი საქართველოს ვიცე ჩემპიონი.

2023 წლის 29 ივლისს მივიღე მონაწილეობა ქალაქ ბათუმში გამართულ შავი ზღვის თასის გათამაშებაში, სადაც საკმაოდ ძლიერი, გამოცდილი ძალოსნები ღებულობდნენ მონაწილეობას. აქ უკვე ჩემს წონით კატეგორიაში გამოვდიოდი და I ადგილი დავიკავე.

რა ადგილი უჭირავს სპორტს შენს ცხოვრებაში?

სპორტის ეს სახეობა ჩემთვის არის ახალი აღმოჩენა და გატაცება, რომელსაც ვეკიდები მთელი პასუხისმგებლობით. თუმცა ჩემთვის პირველ რიგში სწავლა და პროფესიისს დაუფლება არის პრიორიტეტი. უკვე მეორე კურსზე ვარ, გადაწყვეტილი მაქვს 2023-

2024 სასწავლო წელს, შემოდგომა-გაზაფხულის სემესტრზე უფრო მაღალი აკადემიური მაჩვენებლით და სხვადასხვა პროექტებში ჩართვით გამოვიჩინო თავი.

ვულოცავთ გიგის გამარჯვებას, ვუსურვებთ წარმატებებს და კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებას.

მაია გერგაია

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში</u>

შეხვედრა ფალავანთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსთან, გივი მისაბიშვლთან ერთად, სენაკელ ფალავანს, გიორგი ქვარცხავას და მის მწვრთელ-მასწავლებელს, რამაზ კოკაიას შეხვდა. მუნიციპალიტეტის მერმა, წარმატებულ სპორტსმენს და მის მწვრთელს, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ვიცე-ჩემპიონის ტიტული მიულოცა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერია სენაკელ ვიცე-ჩემპიონს ფულად ჯილდოს გადასცემს. გიორგი ქვარცხავას, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში არაერთი სპორტული მიღწევა და ტიტული აქვს მოპოვებული, არის საქართველოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გიორგი, ბერძნულ-რომაული სტილით 15 წლამდელ მოჭიდავეთა შორის, პირველი სპორტსმენია ჩვენი ქალაქიდან, ვისაც წილად ვიცე-ჩემპიონის ტიტული ხვდა.

დასუფთავების აქცია

სენაკის რკინიგზის სადგურში დასუფთავების აქცია მოეწყო საქართველოს რკინიგზის ინიციატივითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით, სადგური ,,სენაკი" და მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა. დასუფთავების აქციაში მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ლევან ელიავამ, საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრმა, საქართველოს რკინიგზის მგზავრთა გადაყვანისა და ინფრასტრუქტურის ფილიალების წარმომადგენლებმა მიიღეს. დასუფთავდა სადგურის გარე და შიდა პერიმეტრი, ბაქანი, სარკინიგზო ხაზი და მის გასწვრივ არსებული ლოკაციები.

მსგავსი ტიპის დასუფთავების აქციებს, საქართველოს რკინიგზა, მერიის ჩართულობით, პერნამენტულად ახორციელებს.

განახლებული გზები

სენაკის მუნიციპალიტეტში მორიგი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა. ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, შიდა საუბნო გზის 300 მეტრ მონაკვეთზე ცემენტობეტონის საფარი მოეწყო.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით დაფინანსდა.

ეს ადგილი - სასაფლაომდე მისასვლელი გზა - პრობლემური და გადასაადგილებლად რთული მონაკვეთი გახლდათ. მოსახლეობა ითხოვდა პრობლემის მოგვარებას და შესაბამისად შედეგიც სახეზეა. დასრულებული სამუშაოებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად, გაეცნო.

* * *

2023 წლის საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას კიდევ ერთი - ყოფილი 139-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან ახალსოფლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაციის პროექტი შეემატა. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 391 323 ლარს შეადგენს. პროექტის ფარგლებში, ყოფილი 139-ე პროფტექნიკური სასწავლებლიდან ახალსოფლისკენ მიმავალი გზის მონაკვეთზე ასფალტის საფარი მოეწყო.

სენაკის მუნიციპალიტეტისთვის, მიმდინარე წელი, ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლით გამორჩეული წელია. პარალელურად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საგზაო, სტიქიის ობიექტების სარეაბილიტაციო, ხიდ-ბოგირების მოწყობა-რეკონსტრუქციისა და აღდგენის სამუშაოები, ასევე სპორტული ინსფრასტრუქტურული პროექტები და კეთილმოწყობის სამუშაოები - სხვადასხვა მიმართულებით.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ვახტანგ გადელიას მერობის პერიოდში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რეაბილიტირდა - 63 კმ-მდე საავტომობილო გზა, ღირებულებით - 31 862 500 ლარი; ქალაქად - 18 კმ-მდე; ადმინისტრაციულ ერთეულებში - 45 კმ-მდე.

სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები

ეს კადრები ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ისულასა და ქალაქად, თაყაიშვილის ქუჩაზე, ახალი სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობას ასახავს. პროექტის ფარგლებში, სოფელ ისულაში ეწყობა 250 გრძივი მეტრი ახალი სანიაღვრე სისტემა, ღირებულებით - 62 357 ლარი;

თაყაიშვილის ქუჩაზე კი - 130 გრძივი მეტრი სანიაღვრე მოეწყობა. პროექტის ღირებულება 28 674 ლარს შეადგენს.

სანიაღვრე სისტემის მოწყობის პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

აღნიშნულ ლოკაციებზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, ეკატერინე კიზირიასთან ერთად იმყოფებოდა და სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

ნოსირის საჯარო სკოლა

სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მასშტაბურ პროექტს, რომლის ღირებულება მილიონ ხუთასი ათასი ლარია, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი, ლევან სუხიტაშვილი, სამეგრელო ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი გუგუჩია და სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია ადგილზე გაეცნენ. პროექტის ფარგლებში, რემონტდება საკლასო ოთახები, დერეფნები, კიბის უჯრედები, სველი წერტილები, სპორტული და სააქტო დარბაზები, ადმინისტრაციული ნაწილი და ფოიე. სრულად შეიცვალა შენობის სახურავი და ელექტროობა; ეწყობა გათბობისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემები. ასევე მიმდინარეობს შენობის ფასადისა და შიდა ეზოს მოპირკეთება.

სკოლა ადაპტირებული იქნება სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის: მოეწყობა გარე ლიფტი (ამწე) და ადაპტირებული სველი წერტილები. მოეწყობა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული კაბინეტები, ბიბლიოთეკა, ექიმის და რესურს ოთახები. სამუშაოები სამშენებლო ნორმებისა და მოთხოვნების სრული დაცვით, ასევე ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორციელდება.

ჰეპატიტის მსოფლიო დღე

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით ჰეპატიტის მსოფლიო დღე აღინიშნა, დღე, რომელიც ვირუსული ჰეპატიტის გლობალური ტვირთისა და დაავადების პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სახელმწიფო, სამედიცინო და სამოქალაქო სექტორებს აერთიანებს. დღის განმავლობაში, ცენტრის მობილური ბრიგადა სკრინინგ აქციებს მართავდა, რომელსაც სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მუნიციპალური აიპების წარმომადგენლებთან ერთად შეუერთდა. 7 წლის წინ, საქართველოს მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოების, მედიკოსებისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, მიიღო გადაწყვეტილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინიციატივაზე - დაწყებულიყო C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რის შედეგადაც, C ჰეპატიტისგან უამრავი ადამიანი განიკურნა და საქართველო გლობალური ლიდერი გახდა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

რეგიონალური თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალი სენაკიდან დაიწყო

ნინელი ჭანკვეტაძე-ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი

მივესალმები ,,რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის" მონაწილეებს, სტუმრებს და განსაკუთრებით ჩვენს ერთგულ მაყურებელს, რომელიც აგერ უკვე მეცხრე წელია დიდი ინტერესით თვალყურს ადევნებს ჩვენს ფესტივალს. წელს მთელი მსოფლიოს თეატრალური სამყარო დიდი სიამაყით აღნიშნავს შექსპირის ,,პირველი ფოლიოს" 400 წლისთვს და რასაკვირველია ჩვენი ფესტივალიც გვერდს ვერ აუვლიდა ამ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენას. ასე რომ ჩვენი საფესტივალო პროგრამა სწორედ ,,მის უდიდებულესობა შექსპირს" მიეძღვნება და ვფიქრობთ ეს გულგრილს არავის დატოვებს. შექსპირის პიესები დღესაც ისეთივე აქტუალურია, დღესაც ისევე გვაოცებს და აღგვაფრთოვანებს, როგორც მაშინ, როცა დიდი დრამატურგი მათ ქმნიდა. ასე რომ შემოგვიერთდით, შექსპირი ხომ ყველასია.

INTERNATIONAL FESTIVAL OF REGIONAL THEATERS

რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი

ვახტანგ გადელია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

,,რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის" კულტურული ტრადიციებით გამორჩეულ ქალაქში გახსნა, სიხარულთან და სიამაყესთან ერთად, ჩვენში დიდი პასუხისმგებლობის განცდას იწვევს.

ჩვენ მზად ვართ, ღირსეულად ვუმასპინძლოთ სასცენო ხელოვნების დღესასწაულს, რომელიც უკვე მეოთხედ, სწორედ სენაკში, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ისტორიულ სცენაზე იღებს სათავეს და თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას ემსახურება.

მინდა, განსაკუთრებული პატივისცემა და მხარდაჭერა გამოვხატო ფესტივალის დამფუძნებლებისა და ორგანიზატორების, ხელოვნების ამ დღესასწაულში ჩართული თეატრალური დასებისა და თითოეული ადამიანის მიმართ.

გისურვებთ შემოქმედებითი სიახლეებით დატვირთულ დღეებს, დიდ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის კულტურის განვითარების მამულიშვილურ საქმეში.

თენგიზ ხუხია, ფესტივალის დირექტორი

მოხარული ვარ, რომ წელს ჩვენი საფესტივალო გუნდი მეცხრედ მასპინძლობს თეატრალურ დასებს, უცხოელ სტუმრებსა და თეატრის მოყვარულებს. წელს განსაკუთრებული წელია, რადგან ჩვენი ფესტივალი ეძღვნება დიდ დრამატურგს უილიამ შექსპირს. ასევე ადგილობრივი და უცხოეთიდან მოწვეული რეჟისორები, პედაგოგები და პროფესორები ჩაატარებენ მასტერკლასებს ახალგაზრდა მსახიობებისათვის.

ხელოვნების ზეიმი

თეატრალური ტრადიციების განვითარებაში უდიდესი წვლილი შეაქვს რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც მეცხრე წელია ტარდება.

წელს ფესტივალის მასპინძლები იყვნენ სენაკისა და ფოთის მერიები. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია ნინელი ჭანკვეტაძე, დირექტორი, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი თენგიზ ხუხია.

1 აგვისტოს ფესტივალი საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სპექტაკლით „რომეო და ჯულიეტა" დაიწყო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელს სრულდება 400 წელი ინგლისელი დრამატურგის და პოეტის უილიამ შექსპირის „პირველი ფოლიოს" გამოცემიდან. სწორედ ამიტომ საფესტივალო პროგრამა შექსპირს მიეძღვნა.

„რომეო და ჯულიეტას" რეჟისორია ვახტანგ ნიკოლავა. აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა მაღალპროფესიულად წარმოადგინეს ახალგაზრდა შეყვარებულების ისტორია, რომლებიც იღუპებიან მათი ოჯახების საგვარეულო მტრობის გამო. სპექტაკლს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ გადელია, საკრებულოს თავმჯდომარე საბა ოდიშარია, თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფესტივალის მეორე დღეს, 2 აგვისტოს დიმიტრი ჯაიანის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში რეჟისორმა, ბრანდეის უნივერსიტეტის პროფესორმა დიმიტრი ტროიანოვსკიმ თეატრალური სფეროს წარმომადგენლების და სასცენო ხელოვნების მოყვარულთათვის გამართა მასტერკლასი თემაზე „მაკბეტი ახლა". დიმიტრი ტროიანოვსკის აქვს თეატრალური საქმიანობის დიდი გამოცდილება. იგი არის ჰარვარდის უნივერსიტეტის თეატრალური მომზადების ამერიკული სარეპერტუარო თეატრის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ასწავლის მასაჩუსეტსის შტატის ბრანდეის უნივერსიტეტის თაეატრალური ხელოვნების დეპარტამენშსტი.

20 საათზე მაყურებელს აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის სცენაზე შესაძლებლობა ჰქონდა ენახა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ-მაყურებელთა თეატრალურ დასის მიერ შექსპირის დრამის „ოტელოს" ორიგინალური თოჯინური ვერსია. პიესის მთავარი გმირების: ვენეციელთა ჯარის სარდლის ოტელოს, მისი რჩეულის-დეზდემონას, ოტელოს ერთგული კასიოს, მოღალატე ასისთავის იაგოს სახეები შთამბეჭდავად იქნა წარმოდგენილი.

სპექტაკლი მიეძღვნა დიდი ქართველი რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის 150 წლის თავს და დიდი სცენოგრაფის და მხატვრის პეტრე ოცხელის 115 წლის იუბილეებს.

3 აგვისტოს თეირანის დამოუკიდებელი თეატრის სპექტაკლი „კორიოლანუსი" ირანულ ენაზე დაიდგა.

სპექტაკლის ლეიტმოტივი იყო ,,რომ ტირანებად არ იბადებიან, ტირანია მასების ქცევის პროდუქტია, საზოგადოებაში დიქტატურა და ტირანია რომ მოისპოს, მასებში ტირანული სული უნდა მოსპო".

სპექტაკლის რეჟისორი გახლდათ მუსტაფა კოუშკი. წარმოდგენის დასრულების შემდეგ ფესტივალის დირექტორმა, ბატონმა თენგიზ ხუხიამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის პირველ პირებს, სენაკის საზოგადოებას, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის პროფესიული თეატრის დასს გულთბილი მასპინძლობისათვის. აღნიშნა, რომ რეგიონალური ფესტივალი გაგრძელდება ფოთში და დასრულდება ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სპექტაკლით ,,ქალიშვილები"(უილიამ შექსპირის ,,მეფე ლირის" მიხედვით).

მედიასთან საუბარში თავიანთი აზრი დააფიქსირეს ფესტივალში მონაწილე თეატრების რეჟისორებმა და დამსწრეებმა.

დიმიტრი ღვთისიაშვილი, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრის რეჟისორი - გვინდა მადლობა ვუთხრათ ამ ფესტივალის ორგანიზატორებს, რომლებმაც მოგვცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიგვეღო უმნიშვნელოვანეს ზეიმში.

ეს არის ჩვენი თეატრის პირველი გასვლა და ბედნიერი ვართ, რომ ვიზიარებთ ამ თეატრალური დღესასწაულის სიხარულს. აქედან ჩვენი თეატრი კაიროში მიემგზავრება. ამაღლებული განწყობილება გვეუფლება, რადგან ვდგავართ დიდი თეატრალის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე. სწორედ აკაკი ხორავამ შექმნა ოტელოს სწორუპოვარი სახე. ამიტომაც ბუმბერაზი ხორავას ოტელო მსოფლიო შექსპიროლოგიამ ნამდვილ შექსპირისეულ სახედ აღიარა. მინდა მადლობა გადავუხადო სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ვახტანგ გადელიას, ფესტივალის დამფუძნებელს ნინელი ჭანკვეტაძეს და სხვებს ნამდვილი თეატრალური დღესასწაულის ორგანიზებისათვის.

ბექა ჯუმუტია, ფესტივალის ორგანიზატორი, გენერალური მენეჯერი-ძალიან ლამაზი და სასიამოვნოა ფესტივალის დღეები, ეს არის ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული. წლევანდელი ფესტივალი გამორჩეულია იმითაც, რომ უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები თავაზობენ მასტერკლასების სერიას სამსახიობო ოსტატობაში დამწყებ მსახიობებს.

სენაკს, ფოთს, სრულიად საქართველოს ვულოცავ რეგიონალური თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალს.

აღსანიშანავია ის ფაქტი, რომ თეატრალური ტრადიციებით გამორჩეული ჩვენი ქალაქი ამ ულამაზესი დღეებით ადასტურებს რომ ხელისუფლება და საზოგადოება პასუხისმგებლობით ეკიდება ხელოვნებას.

მართლაც განუზომელია თეატრის როლი მოზარდი თაობის ინტელექტუალურად აღზრდის საქმეში. ახალგაზრდებს და ზრდასრულ ადამიანებს იგი აძლევს სულიერ საზრდოს, უყალიბებს გემოვნებას, ზრდის ინტერესებს.

ფესტივალის ორგანიზატორია კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი ,,დღეს".

უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ფერადი ბეჭდვით შესრულებული ბუკლეტის მეშვეობით საზოგადოებამ შეძლო მიეღო ინფორმაცია სპექტაკლებზე და რეგიონული თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალის დაფუძნების ისტორიაზე.

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია ფესტივალის ორგანიზატორებს, მსახიობებს, შემოქმედებით ჯგუფებს და გამორჩეულად აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრის კოლექტივს ულოცავს ამ ღირსსახსოვარ მოვლენას, უსურვებს პროფესიულ წინსვლას.

მ. ეჯიბია

,,რომეო და ჯულიეტა" სენაკის თეატრში

წელს მთელი მსოფლიო აღნიშნავს უილიამ შექსპირის ,,პირველი ფოლიოს" 400 წლისთავს.

რეგიონალური თეატრების IX საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ჩატარდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით 1 აგვისტოს გაიხსნა სენაკის თეატრში დიდი ინგლისელი დრამატურგის უილიამ შექსპირის ,,რომეო და ჯულიეტას" პრემიერით. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ვახტანგ ნიკოლავა, სცენოგრაფი-აივენგო მჭედლიძე. მხატვრები-ემილ გეგენავა, მალხაზ კორთხონჯია, კოსტუმების მხატვარი-სოფო ჩალაშვილი, კოსტუმების შემსრულებლები-რუსკა კიკნაძე, მაგდა მამასახლისი, მაკა კილასონია, მუსიკალური გაფორმება და ორანჟირება-ვახტანგ ნიკოლავა, ირაკლი ადამია, ლევან მიქელაძე, ქორეოგრაფი-დავით მეტრეველი, შუქის მხატვარი- ლაშა ჟვანია, ხმის რეჟისორი-ხვიჩა ძველაია.

სპექტაკლში, ,,რომეო და ჯულიეტა", ნათლად ჩანს გარე კონფლიქტი, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა სახის დრამატულ კონფლიქტს, რომელიც ხვდება მისი პერსონაჟების სულიერ სამყაროში. შექსპირის პიესებში გარე მოქმედება ობიექტური რეალობაა, ცხოვრებისეული გარემოებები, ხოლო მისი პერსონაჟების ფსიქიკური მდგომარეობა ადამიანის სუბიექტური ღრმა პირადი რეაქციაა გარე სამყაროსთან, რაც ძალიან კარგად ჩანს სპექტაკლში.

მონტეგებსა და კაპულეტების ოჯახებს შორის არსებული უთანხმოება განსაკუთრებულ დრამატულობას უქმნის ახალგაზრდა გმირების გატაცებას. რომეოსა და ჯულიეტას გრძნობები თავისთვად ჰარმონიულია, მაგრამ გმირებმა კარგად იციან, რომ გარემოებები მათ სიყვრულს ეწინააღმდეგება იმ პირობებში, სადაც ისინი ცხოვრობენ. სპექტაკლში კარგად ჩანს მოსიყვარულე ადამიანების ბრძოლა საზოგადოებასთან და გარემოებებთან, მათი გრძნობებისათვის თავგანწირვა, სიყვარული და სიკვდილი.

სპექტაკლის ნიჭიერმა რეჟისორმა და მსახიობებმა შეძლეს საინტერესოდ და ამაღელვებლად მოეტანათ მაყურებლებამდე გენიალური დრამატურგის უმნიშვნელოვანესი პიესის ,,რომეო და ჯულიეტას" გმირების ცხოვრებისა და ტრაგიკული სიყვარულის ამბავი.

აღსანიშნავია, ჯულიეტას როლის შემსრულებლის, სოფი ჩალაშვილის ნიჭიერება. ახალგაზრდა მსახიობმა თავისი საშემსრულებლო ოსტატობით, საოცარი გარდასახვით და ღრმა ტრაგიზმით აღაფრთოვანა მაყურებელი.

რომეოს საინტერესო სახე შექმნა მსახიობმა თემო ფირცხალაიშვილმა. მან დამაჯერებლად, ზუსტად და ლამაზად მოიტანა მაყურებლამდე რომეოს ტრაგიკული სიყვარულის ისტორია.

ძალზე შთამბეჭდავია მსახიობ ირაკლი კვერღელიძის მიერ განსახიერებული-მერკუციო. იგი გამოირჩევა გარდასახვის ოსტატობით, დახვეწილი პლასტიკით და შესრულების მანერით.

შესანიშნავია ტიბალტის როლის შემსრულებლის ჯანო იზორიას გარდასახვის მანერა და მსახიობური ოსტატობა.

ლორენცოს როლის შემსრულებელმა, მსახიობმა ირაკლი ადამიამ, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მის არტისტიზმსა და მაღალ პროფესიონალიზმში.

გამდელის საინტერესო სახე შექმნა მსახიობმა ეკა კოლუამ, რითაც მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

სპექტაკლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მსახიობებს: თენგიზ თოფურიძეს(ესკალი), ტარიელ ზურაბაშვილს(კაპულეტი), თამარ აბშილავა-კობახიძეს(ქალბატონი კაპულეტი), ლადო კოკაიას(მონტეგი), ლალი გაბელაიას (ქალბატონი მონტეგი), ელგუჯა ნოდარიძეს(იოანე), ჯამბულ ჭანტურიას(პიეტრო), ანი ანდღულაძეს(როზალინა), ზვიად ზურაბაშვილს(მეაფთიაქე). გამოცდილ მსახიობებს ღირსეულ პარტნიორობას უწევენ ნიჭიერი, ახალგაზრდა მსახიობები: გიორგი მურუსიძე (პარისი), ამირან მალანია(ბენვოლიო), რაულ კიკალეიშვილი (ბალთაზარი).

სპექტაკლში მონაწილეობენ დიმიტრი ჯაიანის სახელობის სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის თეატრალური სტუდიის აღსაზრდელები: ცოტნე კაცია (სამსონი), ლუკა გრიგოლია (გრეგორიო), ზუკა ლემონჯავა(აბრამი), ნიკოლოზ გრიგოლია, თაზო ჩერქეზია, ვეფხვია ძაძამია (ორივე ოჯახის მსახურები), დიანა თურქია, მარიამ შონია(ორივე ოჯახის ნათესავები), ჟანა ფარულავა, თეკლა ბაბილუა, ანასტასია ზუხბაია (მევიოლინე გოგონები). მაყურებლის სიყვარული და სიმპატია დაიმსახურა ყველაზე პატარა მონაწილემ, უნიჭიერესმა რომა ტყეებუჩავამ, რომელიც მონტეგების მსახურს განასახიერებდა.

სპექტაკლს განსაკუთრებული ხიბლი შესძინა, უფრო ჰარმონიული და სასიამოვნო გახადა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის პედაგოგების" გიტარისტ გოჩა ჯგერენაიასა და მევიოლინე ნათია შურღულაიას მიერ სპექტაკლის მსვლელობისას შესრულებულმა მუსიკალურმა ნომრებმა.

პრემიერას ესწრებოდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ქალბატონი თეა წულუკიანი, კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, კრიტიკოსები, სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები და რა თქმა უნდა სენაკელი მაყურებელი. სპექტაკლმა ,,რომეო და ჯულიეტა" დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

სწორედ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, უნიჭიერესი რეჟისორის, ბატონ ვახტანგ ნიკოლავას დამსახურებაა, რომ სენაკის თეატრს ღირსეული ადგილი უჭირავს რესპუბლიკის სხვა თეატრებს შორის. მან ერთი წლის მანძილზე ოთხი საინტერესო და ლამაზი სპექტაკლი აჩუქა სენაკელებს. გვჯერა, რომ ჩვენი თეატრი კიდევ ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ გაახარებს თავის ერთგულ მაყურებელს.

ვულოცავ სენაკის თეატრის შემოქმედებით გუნდს, თეატრის ყველა თანამშრომელს და სენაკის თეატრის გულშემატკივრებს კიდევ ერთ წარმატებულ პრემიერას და ვუსურვებ საინტერესო, ლამაზი სპექტაკლების სიმრავლეს.

მარიამ ლიფონავა,
სენაკის აკაკი ხორავას სახელობის
პროფესიული სახელმწიფო
დრამატული თეატრის
სალიტერატურო ნაწილის გამგე

ჩვენი „ლურჯი მელია"

ტელეკომპანია იმედის მიმდინარე წლის მეგა-პროექტი - „ვინ ვინ არის" იყო განსაკუთრებული და გამორჩეული, იგი მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით, საოცარი კოსტიუმებით, გაფორმებით, სპეცეფექტებით, ვინ ვინ არის ინტრიგით და ასე შემდეგ ალბათ ყველაზე პოპულარული გახდა მსმენელებისა და მაყურებლებისთვის.

დამეთანხმებით ყველა იმაში, რომ ლურჯი მელა იყო ამ პროექტის ერთ-ერთი ორიგინალური, განსხვავებული და საინტერესო სახე. ამიტომაც ტელესივრცესა და სოციალურ ქსელში ის მრავალთა შორის ერთ-ერთი ფავორიტი იყო. ამიტომაც გადალახა მან უპრობლემოდ ყველა ბარიერი და ფინალში მოხვდა. ის კი აღმოჩნდა სენაკელთა საამაყო რძალი, ჩვენი თანაქალაქელის, გოჩა ჭანტურიას (მუნიციპალიტეტის ... მერის წარმომადგენელი ქალაქ სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში) მეუღლე, ქალბატონი თეონა ცირამუა.

თეონა დაიბადა თბილისში, დაამთავრა 140-ე საშულო სკოლა, შემდეგ სწავლობდა დ. ანდღულაძის სახელობის მე-14 სამუსიკო და თბილისის ბალანჩივაძის მე-3 სამუსიკო სასწავლებელში საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტ ზე. 1997 წელს ჩაირიცხა კონსერვატორიაში, მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კონსერვატორიაში პროფესორის ასისტენტად და ასევე გორის ქალთა გუნდში ქორმეისტერად. პარალელურად გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში დაინიშნა საგუნდო სადირიჟორო ფაკულტეტის კათედრის გამგედ, სადაც ასწავლიდა დირიჟორობას და ასევე ჰყავდა სტუდენტთა გუნდი. ქალბატონი თეონა არის გორისა და ჩხოროწყუს საპატიო მოქალაქე. მიღებული აქვს ღირსების ორდენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართული მუსიკის პოპულარიზაციისათვის.

ზემოაღნიშნულ მეგა-შოუსთან დაკავშირებით მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

ქალბატონო თეონა, საინტერესოა სატელევიზიო პროექტში ,,ვინ ვინ არის" როგორ მოხვდით? ინკოგნიტოდ დარჩენა როგორ მოახერხეთ? ამასთან დაკავშირებით რაიმე კურიოზი ხომ არ გადაგხდენიათ?

თებერვლის თვე იყო. დამირეკეს ტელეკომპანია "იმედი"-დან და მითხრეს, რომ დიდი სურვილი ჰქონდათ "ვინ ვინ არის" პროექტში მიმეღო მონაწილეობა. იმ პერიოდში სხვა გეგმები მქონდა, ოღონდ უნდა დამეზუსტებინა ისევ ძალაში იყო თუ არა შემოთავაზება. ამიტომ 2 დღე ვითხოვე საპასუხოდ. ბოლოს ისე მოხდა, რომ ის ამბავი გადაიდო და მეც დიდი სიხარულით დავთანხმდი აღნიშნულ შოუში მონაწილეობას.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოვახერხე ინკოგნიტოდ დარჩენა, ეს ალბათ დამსახურებაა ჩემი პერსონაჟის სწორად შერჩევის და შემდეგ, იმ გარდასახვის, რომელიც იხილა მაყურებელმა. რაც შეეხება კურიოზს, რა ვიცი, ეს ისეთი შოუა, რომ ყოველ დღეს კურიოზი ხდებოდა.

აღნიშნულმა პროექტმა რა გამოცდილება შეგძინათ?

მეგაშოუში მონაწილეობა ჩემთვის პირველი იყო. ჩვენი სფეროც სცენასთან და მაყურებელთან არის კავშირში და არტისტიზმი ისევე მოგვეთხოვება, როგორც ნებისმიერ მსახიობს, მაგრამ, ეს იყო კიდევ სხვა სამსახიობო გამოცდილება. აქვე მინდა დროის მენეჯმენტის სწორად გათვლის მომენტს განსაკუთრებით ხაზი გაუსვა. რადგანაც ეს ყველაფერი ისე ჩაატარო, რომ დარჩე ამოუცნობი, ვერც მაყურებელი და ვერც შენი ოჯახის წევრი ვერ მიხვდეს, რომ მსგავს ამბავში ხარ ჩართული და თან ატარო რეპეტიციები და ლექციები ისევ ისე, როგორც ატარებდი მანამდე... ეს საკმაოდ რთული, მაგრამ შედეგიანი და საინტერესო გამოცდილება იყო.

აქამდე მიღწეულ წარმატებებს შორის რომელს, ან რომლებს გამოყოფდით და რატომ?

მე, ზოგადად, ყოველთვის ვცდილობ ყველა ჩვენი გამოსვლა წარმატებული და დასამახსოვრებელი იყოს, მაგრამ მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, გამოვყოფდი ევროტურს ქეთი მელუასთან ერთად, რომელმაც გუნდს მოუტანა არნახული წარმატება და პოპულარობა. გორის ქალთა გუნდის და ელექტრონული მუსიკის სინთეზს. ასევე, გამოვყოფდი შარშანდელ ჩვენს წარმატებას პროექტ „Lunar Codex"-ში, რაც გულისხმობს ჩვენი შესრულებით 3 ქართული ნაწარმოების გაგზავნას მთვარეზე, რომელიც უკვე დევს კაფსულაში, გაფრენა მოხდება 2024 წელს. ასევე გამოვყოფდი გორის ქალთა გუნდისა და "შავნაბადას" ერთობლივ კონცერტს, რომელმაც ასევე დიდი გამოხმაურება მოიპოვა და ამ ყველაფერთან ერთად მეგაშოუს "ვინ ვინ არის", რადგან ამ გადაცემამ, კიდევ სხვა ამპლუაში გააცნო ჩემი თავი მაყურებელს და ის შედეგი, რაც იქ დაიდო, ვთვლი, რომ არ მეკუთვნის მხოლოდ მე. ჩემი ყოველი გამოსვლა შინაგანად იყო გორის ქალთა გუნდის სახელით და ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ჩემს გუნდს ეამაყა ჩემით და მგონი გამოვიდა!

ამჟამად რით ხართ დაკავებული?

ამჯერად შვებულებაში ვიმყოფები და დაკავებული ვარ გუნდისთვის არანჟირებების გაკეთებით. ეს არის ახალი პროექტისთვის

შესანიშნავი ოჯახი და კარიერა გაქვთ, რა დაგრჩათ მიუღწეველი?

მინდა შვილი გვყავდეს, რაც იმედია ღმერთის ნებით მოხდება. ჩემთვის ასევე მიუღწეველია შინაგანი სიმშვიდე, რომელსაც სამუშაო განრიგიდან გამომდინარე ჯერჯერობით ვერ ვახერხებ, რასაც ალბათ პენსიაზე გასვლამდე ვერც შევძლებ...

ქალბატონმა თეონამ მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით, გარდასახვის მისეული უნარით, არტისტიზმით, გრაციით..... შეძლო ბოლომდე გამოუცნობი ყოფილიყო და ჟიურისთვის, მსმენელისთვის ყოველი ახალი ნომერი აღმოჩენა დ სენსაცია გამხდარიყო, ეს ინტრიგა მან ფინალამდე შეინრჩუნა.

ვულოცავთ ჩვენს ,,ლურჯ მელას" კიდევ ერთ აღიარებას.

მადლობას ვუხდით მას გულწრფელობისთვის და მისი თაყვანისმცემლების სახელით ვუსურვებთ მომავალშიც წარმატებებს და სანუკვარი ოცნების ასრულებას.

ნინო სართანია

ხატვა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა



შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებში ხშირად შეგხვდებათ ისეთი მხატვრები, რომლებსაც საზოგადოება "თვითნასწავლი მხატვრის" სახელით იცნობს. გავრცელებული აზრით, ხშირად თვითნასწავლი მხატვრები გაცილებით მნიშვნელოვან კვალს ტოვებენ ხელოვნების ისტორიაში, ვიდრე კლასიკური განათლების მქონენი და ამას კრიტიკოსები ჩარჩოების არარსებობით ხსნიან.

დღეს გაგაცნობთ ნიჭიერ ადვოკატს, თვითნასწავლ მხატვარ ანი ცეკვაშვილს. მისი შემოქმედება ნიჭის, ფანტაზიის, ემოციური შინაგანი სამყაროს შედეგია. მართალია არასდროს უვლია ხატვის კურსებზე, მაგრამ მისი მხატვრობის სპეციფიკაც და შესრულების ტექნიკაც განსაკუთრებულია. შეუძლებელია ნახო ანის ნახატები, უდიდესი გემოვნებით შექმნილი აქსექსუარები, დეკორატიული ნივთები, ნაქარგები, ნაქსოვები და არ აღფრთოვანდე, იმდენად კარგად გადმოსცემს მხატვრის შინაგან ბუნებას.

გთავაზობთ ინტერვიუს მასთან.

ანი, როდის და რატომ დაინტერესდი სამართალმცოდნეობით, როგორია შენი სამუშაო გამოცდილება ამ მიმართულებით?

ბავშვობიდან ჰუმანიტარული საგნები მეტად მიზიდავდა, სამართლით სკოლაში დავინტერესდი და დამამთავრებელ კლასში გადავწყვიტე პროფესიულად შემესწავლა. მიზეზი კი ბევრი მქონდა, მათ შორის ადამიანების დახმარების შესაძლებლობა, სამართალი ჩემთვის ნებისმიერი საზოგადოების არსებობის საფუძველია, დაწერილი თუ დაუწერელი კანონები განსაზღვრავენ ურთიერთობებს, ასე ვიტყოდი -მაჩვენე ქვეყნის სამართალი და გეტყვი როგორია ხალხი.

შენ ხარ ადვოკატი, წარმატებული საქმიანობისთვის რა უნარებია საჭირო?

უკვე ცხრა წელია ვეწვი საადვოკატო საქმიანობას. ადვოკატის პროფესია, ძალიან ჰგავს ექიმისას, მხოლოდ აქ ჯანმრთელობის ნაცვლად იცავ ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს, წარმატებული საქმიანობისთვის ბევრი რამაა საჭირო, მაგრამ გამოვყოფდი რამოდენიმეს, პირველ რიგში ეს არის შენი საქმის სიყვარული, სათანადო თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება, პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა და მოთმინება.

ანი, ძალიან ლამაზი, პროფესიულ დონეზე შესრულებული ნახატები გაქვს, პირველად როდის აღმოაჩინე, რომ ხატვის ნიჭი გაქვს? შენი პირველი ნაბიჯები მხატვრობაში.

ხელოვნებით ყოველთვის ვიყავი დაინტერესებული, ბავშვობაში ძირითადად მომწონდა ძერწვა, შემეძლო მთელი დღეები ჩემთვის სასურველი ფიგურები გამომეძერწა. ფერწერით შედარებით გვიან, დაახლოებით ხუთი წლის წინ დავინტერესდი. ხატვის სურვილი ჩემმა უმცროსმა ძმამ გამიჩინა, რომელიც პროფესიით ხატმწერია და თბილისში აქვს სამხატვრო სტუდია ,,არტსტუდიო აკვარელი". მომეცა შესაძლებლობა გამომეცადა ჩემი თავი. თავიდან დავიწყე ფანქრით, თანდათანობით გადავედი აკვარელის საღებავებზე. ასევე მინდა დავიწყო ხატვა ზეთის საღებავებით.

ჩემი პირველი სერიოზული ნახატი იყო ქალის სურათი, რომელშიც ვეცადე გადმომეცა ქალის შინაგანი რთული მდგომარეობა,

ამ ნახატში დიდი ემოცია ჩავდე და ამიტომ განსაკუთრებით მიყვარს.

ხატვა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. მომწონს გრაფიკაც და ფერწერაც. მხატვრული მიმდინარეობებიდან მიყვარს იმპრესიონიზმი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხატვა ჩემთვის სულის განუყოფელი ნაწილი და ემოციების გამოხატვის საუკეთესო გზაა.

შენი პროფესიიდან გამომდინარე, დროის დეფიციტი ნამდვილად გაქვს, როგორ ახერხებ დროის გამონახვას ხატვისთვის,

ჩემი პროფესია ბევრ ძალისხმევას მოითხოვს. გონებრივი დატვირთვა დიდია, ამიტომ ხელოვნებისთვის დრო ცოტა მაქვს, ძირითადად უქმეებზე, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც ღამეებიც გამითენებია, იმდენად დიდი იყო ხატვის სურვილი. ეს არის მომენტი, რომელიც უნდა დაიჭირო და არ გაუშვა, რა დროც არ უნდა იყოს, უნდა აიტაცო და ფორმა მისცე, მაშინ ვერ აღვიქვამ დროს, სივრცეს, დაღლას, პროცესით მიღებული სიამოვნება ყველა სხვას ჯაბნის, ახალი ენერგიით მავსებს.

გარდა ხატვისა, ვიცი რომ კარგად ქსოვ, ქარგავ, ლამაზ ნივთებს ქმნი? რა არის შენი შთაგონების წყარო?(რა მასალებს იყენებ ძირითადად, რა სახის ნივთებს ქმნი(სუვენირები, აქსესუარები)

წელიწადის სხვადასხვა სეზონზე დაკავებული ვარ ქსოვით (ყველაფერს ვქსოვ), ქარგვით, სამკაულების შექმნით (ყელსაბამები, საყურეები, ბროშები, ხელის და ფეხის სამაჯურები და ა.შ), შთაგონების წყარო შეიძლება ნემისმიერი რამე იყოს, მაგალითად: სეზონი, კონკრეტული ადამიანი და ა.შ. ძალიან მიყვარს ისეთი ნივთების შექმნა, რომელიც ერთდროულად ლამაზი, ელეგანტური და პრაქტიკულად გამოსადეგია, მხოლოდ დეკორატიული დანიშნულება რომ არ აქვს. ხელოვნება ჩემი კომფორტის ზონაა, თავად ნივთების შექმნის პროცესი დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ხშირად კარგი მოტივაციაც მაქვს ხოლმე, რადგან მათ ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანისთვის ვქმნი, მათივე გემოვნებისა და საჭიროებების მიხედვით.

ნივთების შექმნისას ვცდილობ ძირითადად ნატურალური მასალა გამოვიყენო, რომელიც ყველა თვალსაზრისით საუკეთესო შედეგს იძლევა.

როგორია შენი სამომავლო გეგმები, ხომ არ ფიქრობ რომ ხატვა ცხოვრების მთავარ პროფესიად იქცევა, გიფიქრია თუ არა პერსონალურ გამოფენაზე?

ხელოვნება და ხატვა ჩემს ცხოვრებაში სულ იქნება, მინდა მეტი დრო დავუთმო ხატვას, თუმცა ჯერ არ გადამიწყვეტია მისი მთავარ პროფესიად გადაქცევა, ამისთვის მეტი ცოდნა და გამოცდილება მჭირდება. თუმცა შეიძლება, რატომაც არა.

ვუსურვებთ ანის წარმატებულ პროფესიულ და შემოქმედებით საქმიანობას, მებრძოლი სულისკვეთებით სვლას ცხოვრების გზაზე.

მაია ჭუბაბრია

ახალგაზრდობა - იმედი ხვალის

ქვეყნის განვითარება უპირველესად ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული, ყველა რეფორმა მათი ჩართულობით უნდა მოხდეს.

,,ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად" არის ქვეყნის დევიზი. უმაღლეს სასწავლებლებში არაერთი სენაკელი ახალგაზრდა იღწვის, რომლებიც ავლენენ თვითრეალიზაციის უნარს, გამოირჩევიან წარმატებებით.

ანა სიჭინავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. ანა თვლის, რომ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები ევროპული სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება.

წარმატებული ახალგაზრდა არჩეული პროფესიის განსხვავებულობასა და მომავლის პერსპექტივებზე საუბრობს.

ანა, თქვენ ხართ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, როგორ შეაფასებთ ამ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში გატარებულ წლებს.

უნივერსიტეტში გატარებული 4 წელი საკმაოდ საინტერესო, მრავალფეროვანი და გამოცდილებით დატვირთული აღმოჩნდა. ცოდნასთან ერთად უამრავი ლამაზი მოგონება მომყვება. გარდა იმისა, რომ პროფესიული კუთხით მივაღწიე განვითარებას, გავიცანი ბევრი კარგი ადამიანი, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს კარიერულ წინსვლაში.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი ასე ვთქვათ, სპორტსმენების ექიმობა საკმაოდ რთული და შრომატევადი სპეციალობაა, რა სახის წინააღმდეგობებსა და სირთულეებს აწყდებით?

პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ეს დარგი ნელ-ნელა ვითარდება, განსაკუთრებით საქართველოში. ხშირად არასწორი წარმოდგენა აქვთ ადამიანებს ამ პროფესიაზე და არ აფასებენ. უამრავი წინააღმდეგობა მხვდება დღემდე, მაგრამ ამავდროულად მიხარია, რომ ამ ახალი დარგის ნაწილი ვარ.

უნივერსიტეტში სწავლის წლებში მონაწილეობდით თუ არა კონკურსებსა და პროექტებში?

სამწუხაროდ, იმ პერიოდში მომიწია სწავლა, როცა კორონა ვირუსი იყო გავრცელებული და პროექტები, კონკურსები ნაკლებად ცხადდებოდა, თუმცა 2022 წელს გაცვლითი პროგრამით გაგვიშვეს სამი სტუდენტი სამი თვით ლიეტუვაში, პალანგას სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც სტაჟირება გავიარეთ და მართლაც გარდამტეხი პერიოდი აღმოჩნდა ჩემთვის.

ანა, რომელი უფრო საინტერესოა მოსწავლეობის თუ სტუდენტობის წლები?

პირადად ჩემთვის სტუდენტობის წლები უფრო საინტერესოა, ვიდრე სკოლის. თუმცა სკოლას სხვა ხიბლი აქვს. დავამთავრე ჟიული შარტავას სახელობის №2 საჯარო სკოლა, სადაც სწავლასთან ერთად აქტიურად ვმონაწილეობდი სკოლის პროექტებში და სასკოლო ოლიმპიადებში, სხვადასხვა აქტივობებში.

ჩვენი ჟურნალისტური ურთიერთობა ტელეკომპანია ,,ეგრისის" საბავშვო სტუდიის წევრობიდან იწყება. დაგეხმარა თუ არა იქ მიღებული ცოდნა მეტყველებისა და წერის კულტურის დახვეწა-განვითარებაში?

დიახ, რა თქმა უნდა ტელევიზიაში მიღებული გამოცდილება სწავლის სხვადასხვა ეტაპზე დამეხმარა. შემიძლია ვთქვა, რომ საბავშვო საინფორმაციო პროგრამა იყო წარმატებული პროექტი, რომელიც სტუდიის წევრებს აძლევდა შესაძლებლობას გაცნობოდნენ რეგიონის წარმატებულ ადამიანებს, ღირსშესანიშნავ ადგილებს, ეხმარებოდნენ ახალგაზრდებს მეტყველების დახვეწა-განვითარებაში, აჩვევდა დამოუკიდებლობას და სითამამეს.

გიყვართ თუ არა მოგზაურობა, ქვეყანა რომელიც გამორჩეულად მოგეწონა?

დიახ, მოგზაურობა ძალიან მიყვარს. ჯერჯერობით ბევრ ქვეყანაში არ ვარ ნამყოფი, მაგრამ გამოვარჩევდი დუბაის. ევროპისგან განსხვავებული ცხოვრების სტილი აქვთ, რაც ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა

სამომავლო გეგმებიდან რომელი მიგაჩნია უპირველესად?

უპირველესი და უმთავრესი გამოყოფილი არა მაქვს. მთავარი მაინც შესწავლილი პროფესიის განმტკიცებაა. ფიზიკური რეაბილიტაციის პრინციპების და პროგრამების პრაქტიკულად განხორციელებაა.

მოამზადა
მედეა ბაღათურიამ

სპორტი

წარმატებული სეზონი

დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში U-16-ები. კარგი თამაშითა და ლამაზად მოგებული მატჩებით არაერთხელ გვასახელეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის კალათბურთელებმა და სეზონიც წარმატებით დაასრულეს.

მათ პირველივე წელს შეძლეს საკავალიპიკაციო ეტაპიდან უმაღლეს ლიგაში მოხვედრა. გუნდის წევრებმა, მწვრთნელის, შოთა კუჭავას ხელმძღვანელობით: ვალერი პაპასკირმა, თორნიკე მიქავამ, საბა მოსიძემ, ლუკა ჩიქობავამ, დიტო უზარაშვილმა, აკაკი კიკვაძემ, სანდრო სანაიამ, დავით ნაჭყებიამ, გიორგი ლაშქარავამ, თორნიკე ღვიჯილიამ, თორნიკე ცომაიამ, გურამ გვალიამ ღირსეულად იასპარეზეს და ბოლო შეხვედრამდე იბრძოლეს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად.

ასევე დასრულდა ჯუნიორ ნბა-ს გათამაშების მესამე C ლიგა.

ჩვენი პატარები სადებიუტო წელს მე-4 ადგილს დასჯერდნენ. ძალიან ახლოს იყვნენ ჩემპიონობასთან, მაგრამ მცირედმა შეცდომებმა გადაწყვიტა თამაშის ბედი კონფერენციის ფინალში.

ვულოცავთ ჩვენს კალათბურთელებს წარმატებულ სეზონს. გვეჯერა რომ კიდევ ბევრჯერ გაგვახარებენ ლამაზი თამაშით.

მ შონია

მაგიდის ჩოგბურთი

30 ივლისს, სენაკის მაგიდის ჩოგბურთის კლუბში, სენაკის სასპორტო გაერთიანების მწვრთნელ-მასწავლებლის, კობა ჩხიკვაძის ორგანიზებით გაიმართა, მორიგი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში - 15 წლამდე ასაკის სპორტსმენებს შორის.

წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა.

პირველი ადგილი ნოდარ ძველაიამ დაიკავა, მეორეზე გავიდა ანდრო კვირაია, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა თევდორე პერტაიას.

* * *

სენაკის მაგიდის ჩოგბურთის კლუბი 5 წლისაა. საიუბილეო წელთან დაკავშირებით სენაკის მაგიდის ჩოგბურთის კლუბში გაიმართა პროფესიული ტურნირი - '' ელიტ ლიგა.

ტურნირში - მონაწილეობას ღებულობდნენ თბილისის, ლაგოდეხის, გორის, ქუთაისის, წყალტუბოს, ფოთის და სენაკის სპორტსმენები.

წარმატებით იასპარეზეს სენაკელებმა.

პირველი ადგილი დაიკავა დათო გეგენავამ (სენაკის სასპორტო გაერთიანება), კობა ჩხიკვაძემ (მწვრთნელ-მასწავლებელი) კი მესამე ადგილი.

ვულოცავთ სპორტსმენებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

წახალისება სჭირდება

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როდესაც მამამ II ნოსირის კულტურის სახლის მიმდებარე სპორტულ მოედანზე მიმიყვანა. ყოველ არდადეგებზე აქეთკენ მოვიჩქაროდი, რადგან წინ საინტერესო სპორტული შეჯიბრებები მელოდებოდა. ახლა თექვსმეტი წლის ვარ და ვთამაშობ ბელგიაში, ბავშვთა გუნდში.

მინდა ყურადღება გავამახვილო ბატონ რევაზ ჩილაჩავას ორგანიზატორულ ნიჭზე. წელს მას ღონისძიება სამ ეტაპად ჰქონდა დაგეგმილი. უმცროსი ასაკი, მოზრდილები, უფროსი თაობა. ვარჯიშისას რკინის დისციპლინას ავლენს. ამიტომაც ატარებს ორგანიზებულ შეჯიბრებებს.

მთელი ზაფხული მიმდინარეობს შეჯიბრებები ფეხბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში, ნარდში, ტენისში. ამას ერთვის დისკოთეკა. წინა წლებში მომღერლებიც ჩამოიყვანა, კინოსეანსებიც ჩაატარა. ერთ წერილში ძნელია მოაქციო ყველა ის სასიკეთო საქმე, რასაც მეორე ნოსირის კულტურის სახლის ხელმძღვანელი აკეთებს.

სტუმრები, ჩამოსული უცხოელები, სოფლის მოსახლეობა მადლობას ვუხდით ბატონ რევაზ ჩილაჩავას ასეთი ლამაზი ზაფხულის მოწყობისათვის.

აქვე მინდა ავღნიშნო სოფლის ხელმძღვანელის სლავა კილასონიას, მთავარი სპეციალისტის თემო ბარკალაიას აქტიურობა და ჩართულობა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებების მოწყობაში, რომლის თავი და თავი რევაზ ჩილაჩავაა.

ბატონი რევაზი ნამდვილად იმსახურებს წახალისებას ადგილობრივი ხელისუფლების და სპორტის სამსახურის მესვეურებისაგან.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მას.

გოჩა თბილისელი

15 წელი აგვისტოს ომიდან...

სენაკში, პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაცემულ მეომართა და რუსეთის აგრესიას შეწირულ მოქალაქეთა ხსოვნას. საომარ მოქმედებებს სენაკში მცხოვრები 5 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ სენაკის მეორე ბატალიონის მებრძოლები: ლევან თეფანია და თემურ ბოკუჩავა; ქალაქის დაბომბვის შედეგად დაიღუპა 3 მოქალაქე: მეირა ინჯგია, ჯონი და როლანდ ქარდავები. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ, საბა ოდიშარიამ, მერის მოადგილემ, ლევან ელიავამ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ლევან უჩანეიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზაზა ნაჭყებიამ, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოების წარმომადგენლებმა, ყვავილებით შეამკეს ხსოვნის მემორიალი. წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში, დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა, აგვისტოს ომის მსხვერპლთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. სოციალური პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, 2008 წლის აგვისტოს ომში და ავღანეთში, ISAF-ის მისიაში, დაღუპულთა ოჯახებს ფულადი დახმარება გადასცა. მადლობა, სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე თავდადებისთვის! მადლობა, გმირობისთვის!

სენაკი, 2008 წელი, აგვისტოს ფოტოქრონიკა

ფოტოები ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდიდან

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499